

ILF Consulting Engineers Austria GmbH-ის ფილიალი
(წარმომადგენლობა) საქართველოში

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	ზოგადი ინფორმაცია.....	10
2.	მომზადების საფუძველი	10
3.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4.	შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან.....	11
5.	სხვა საოპერაციო შემოსავალი	11
6.	ქვეკონტრაქტორები	11
7.	სხვა საოპერაციო ხარჯები	12
8.	საპროცენტო შემოსავალი	12
9.	ძირითადი საშუალებები	12
10.	გაცემული სესხები.....	12
11.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
12.	ფული და ფულის ეკვივალენტები.....	13
13.	სავაჭრო ვალდებულებები	13
14.	მიღებული ავანსები	14
15.	საგადასახადო ვალდებულებები.....	14
16.	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
17.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	15

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯიას (შემდეგში კომპანია) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოვავსებ დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ

დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:
ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 მაისი 2019 წელი




ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში
 სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ლარში)

	შენიშვნა	2018
საოპერაციო შემოსავალი		
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	4	8,694,991
სხვა საოპერაციო შემოსავლები	5	52,239
		8,747,230
საოპერაციო ხარჯი		
ქვეკონტრაქტორები	6	(8,059,838)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები		(1,049,222)
საიჯარო ხარჯი		(168,255)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(509,834)
		(9,787,149)
საოპერაციო ზარალი		(1,039,919)
საპროცენტო შემოსავალი	8	79,695
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტი		(48,376)
მთლიანი სრული ზარალი		(1,008,600)

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2019 წლის 30 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



სტეფან პატრიკ მორანი

ფინანსური კონტროლიორი



ელენე წოწერია

ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	124,961	186,535
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		1,988	5,863
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	485,781
გაცემული სესხები	10	439,319	111,487
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,554,211	1,505,126
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	3,939,757	2,562,644
		5,935,275	4,670,901
სულ აქტივები			
		6,060,236	4,857,436
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		2,852,216	3,860,816
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13	1,427,162	822,309
მიღებული ავანსები	14	1,471,469	174,311
საგადასახადო ვალდებულებები	15	309,389	-
		3,208,020	996,620
სულ კაპიტალი და ვალდებულებები			
		6,060,236	4,857,436

ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში
 სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის	3,860,816
მთლიანი სრული ზარალი	(1,008,600)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,852,216

ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში
სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე		(1,008,600)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	9	30,563
ძირითადი საშუალების გასვლით მიღებული ზარალი		6,014
საპროცენტო შემოსავალი	8	(79,695)
საკუთრო სხვაობით გამოწვეული ზარალი		48,376
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		(1,003,342)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(86,103)
წინასწარ გადახდილ გადასახადების შემცირება		485,781
მარაგების შემცირება		3,874
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა		628,829
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		309,389
მიღებული ავანსების ზრდა		1,297,158
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		1,635,586
მიღებული პროცენტები		42,969
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		1,678,555
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	9	(24,677)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		49,674
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		24,997
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული სესხები		(299,967)
გაცემული სესხიდან მიღებული თანხები		8,862
ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		(291,105)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		1,412,447
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	12	2,562,644
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი		(35,334)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	12	3,939,757

10-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. ზოგადი ინფორმაცია

ILF Consulting Engineers Austria GmbH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში (შემდეგში - კომპანია), დაარსდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: მამარდაშვილი ქუჩა #3, თბილისი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს წყლისა და გარემოს სფეროში პროფესიონალური საკონსულტაციო, საინჟინრო და საპროექტო მომსახურების გაწევა.

კომპანიის დირექტორია სტეფან პატრიკ მორანი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ხელმძღვანელობისათვის, იმისათვის რათა დახმარება გაუწიოს კომპანიას “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) გადასვლაში. მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღამდე (2018 წლის 1 იანვარი) კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივ პრაქტიკაში დაფუძნებული საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც სრულად თანხვედრაში არ მოდის მსს ფასს-თან.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა საუკეთესო ცოდნა სტანდარტის, ფაქტებისა და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის, რომელსაც კომპანია გამოიყენებს როდესაც მოამზადებს მსს ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც შესაძლოა შეიცვალოს. მაგალითად, სააღრიცხვო სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ შესაძლოა გამოუშვას დამატებები და ცვლილებები სტანდარტში. შესაბამისად, სანამ კომპანია პირველად მოამზადებს მსს ფასს-ების სრულად შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას და განსაზღვრავს გადასვლის თარიღს 35-ე განყოფილების შესაბამისად, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ცვლილების შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება.

რადგან მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს. შესაბამისად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის წარდგენას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება მოითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და აქციონერებს განზრახული აქვთ კომპანიის ბიზნესის შემდგომი განვითარება საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისგან.

4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

2018 წლის პროექტების შემოსავლები და თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შემოსავალი	თვითღირებულება
სატრანსპორტო სექტორი	5,059,904	(4,087,326)
ენერგო სექტორი	3,543,159	(3,171,652)
შენობა ნაგებობები	90,000	(66,267)
სხვა	1,928	-
	8,694,991	(7,325,245)

პროექტების თვითღირებულება შინაარსის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
ქვეკონტრაქტორები	(7,144,478)
მივლინება	(149,241)
დაზღვევა	(12,294)
სხვა	(19,232)
	(7,325,245)

5. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2018
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	49,674
სხვა	2,565
	52,239

6. ქვეკონტრაქტორები

ქვეკონტრაქტორები:	2018
დაკავშირებული მხარე	(5,844,425)
სხვა	(2,215,413)
	(8,059,838)

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018
მივლინება	(192,659)
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	(97,369)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციის ხარჯი	(55,688)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(48,047)
დაზღვევა	(33,771)
ცვეთა	(30,563)
სხვა	(51,737)
	(509,834)

8. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი მიღებული:	2018
დეპოზიტიდან	42,969
გაცემული სესხიდან	36,726
	79,695

9. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	ავტომო- ბილები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება					
2018 წლის 1 იანვარი	85,883	139,679	58,078	8,637	292,277
შემოსვლა	6,850	-	17,358	469	24,677
გასვლა	-	-	(75,436)	-	(75,436)
2018 წლის 31 დეკემბერი	92,733	139,679	-	9,106	241,518
დაგროვილი ცვეთა					
2018 წლის 1 იანვარი	(30,814)	(50,323)	(19,748)	(4,857)	(105,742)
ცვეთა	(11,960)	(17,871)	-	(732)	(30,563)
გასვლა	-	-	19,748	-	19,748
2018 წლის 31 დეკემბერი	(42,774)	(68,194)	-	(5,589)	(116,557)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 1 იანვარი	55,069	89,356	38,330	3,780	186,535
2018 წლის 31 დეკემბერი	49,959	71,485	-	3,517	124,961

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლასიფიკაცია „სხვა“ მოიცავს არამატერიალურ აქტივებს (სააღრიცხვო პროგრამა) წმინდა საბალანსო ღირებულებით 469 ლარი.

10. გაცემული სესხები

	დაფარვის ვადა	პროცენტი%	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ინჟინიერს ჯორჯია #1	06-10-19	11%	113,592	102,592
შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ინჟინიერს ჯორჯია #2	28-03-19	11.3%	325,727	-
სხვა	-	20%	-	8,895
			439,319	111,487

ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები მისაღები:		
დაკავშირებული მხარისგან	536,237	211,478
სხვა	1,035,308	1,279,309
საექვო ვალების რეზერვი	(76,313)	(28,266)
	1,495,232	1,462,521
არა-ფინანსური აქტივები		
წინასწარ გადახდილი სადაზღვევო ხარჯი	31,671	3,108
ქვეკონტრაქტორისთვის გადახდილი ავანსები	11,800	39,497
დაკავშირებული მხარისთვის გადახდილი ავანსები	15,508	-
	58,979	42,605
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,554,211	1,505,126
ცვლილებები გაუფასურების რეზერვში წარმოდგენილია შემდეგნაირად:		
		2018
ნაშთი 1 იანვრისთვის		(28,266)
ზრდა წლის განმავლობაში		(48,047)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის		(76,313)

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში	2,811,338	2,561,101
ფული სალაროში	4,273	1,543
შეზღუდული ფული*	1,124,146	-
	3,939,757	2,562,644

შეზღუდული ფული წარმოადგენს სახელმწიფო კომპანიებიდან/სააგენტოებიდან მიღებული ავანსის გარანტიას.

13. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები:		
დაკავშირებულ მხარესთან	1,166,557	581,608
სხვა	260,605	240,701
	1,427,162	822,309

14. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები 2018 წლის 1 იანვრისთვის ძირითადად შედგება 2017 წლის დეკემბერში სს ზოტი ჰიდროსგან მიღებული ავანსისგან, 163,429 ლარი. ზოტი ჰიდროსთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ნახაზების მომზადებას, ელექტროსადგურის დეტალური დიზაინის მომზადებასთან დაკავშირებული კალკულაციებისა და ანალიზის ჩატარებას. ხელშეკრულების პირობების თანახმად, კომპანიამ წინასწარ მიიღო ავანსი კონტრაქტორისგან, რომლის სანაცვლოდაც კომპანია შეასრულებს შესაბამის სამუშაოებს 2019 წლის განმავლობაში.

მიღებული ავანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ძირითადად მოიცავს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან მიღებულ ავანსს, 1,431,485 ლარის ოდენობით. 2018 წლის დეკემბერში მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით კომპანიას ევალება საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პირობებში სამუშაოების ზედამხედველობა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტის განახლება.

15. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც აქტივი ან ვალდებულება.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018				შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინ ეჯინიერს ჯორჯია
	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	ILF Consulting Engineers GmbH Zweignieder- lassung Munchen	ILF Consulting Engineers Polska Sp. Z.o.o.	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	362,923	-	-	188,822
სავაჭრო ვალდებულებები	12,587	531,687	38,446	83	583,754
გაცემული სესხები	-	-	-	-	439,319
სრული შემოსავლის ანგარიშგება					
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	-	-	-	-	972,670
სხვა შემოსავალი	-	-	-	-	48,299
ქვეკონტრაქტორები	(298,922)	(2,162,958)	(451,774)	(1,053)	(2,929,718)
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	-	36,726

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	1 იანვარი 2018				
	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	ILF Consulting Engineers GmbH Zweigniederlassung Munchen	ILF Consulting Engineers Polska Sp. Z.o.o.	შპს აი.ელ.ევ ქონსალთინ ეჯინიერს ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	175,707	-	-	35,771
სავაჭრო ვალდებულებები	36,632	340,180	198,724	-	6,072
გაცემული სესხები	-	-	-	-	102,592

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებული სპეციალური დანიშნულების ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმომოხილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსებს:

	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2018 წლის 1 იანვრისთვის	2.5922	3.1044

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

კომპანია გარიგების ან ხელშეკრულების დასრულების ეტაპს განსაზღვრავს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ყველაზე საიმედოდ განსაზღვრავს შესრულებულ სამუშაოს: საანგარიშგებო თარიღისათვის გაწეული ფაქტიური დანახარჯების დაბიუჯეტებულ დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით. გაწეული ხარჯები არ მოიცავს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა მასალები ან წინასწარი გადახდები.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, შემოსავლები აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობის ხარჯებიცაა გაწეული საანგარიშგებო თარიღისათვის.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარა თუ კომპანიას აქტივის ფლობასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი არ გადმოეცემა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იხერხება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან,

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

აქტივები ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რაც წარმოადგენს 20%-ს ყველა ძირითადი საშუალების ჯგუფისთვის

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასება მოხდეს არის თუ არა საბალანსო ღირებულება მეტი შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებაზე. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს FIFO მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშვება მხოლოდ მაშინ როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების დაბრუნებას.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. მიღებული სესხები შემდეგ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და შედის ფინანსურ ხარჯებში. მიღებული სესხები წარდგება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულების გადავადების უპირობო უფლება საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.